კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები რეგიონების მიხედვით

ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ოდენობაა. 2014 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით მთელი საქართველოს მასშტაბით 10 მილიარდ ლარზე მეტი (10,486,000,000) სესხი აქვთ ბანკებს გაცემული (ეს მონაცემი 2002 წლიდან არის შეჯამებული და ის ასევე სესხის დაფარვის მონაცემებსაც მოიცავს, რაც აღებული სესხის მოცულობას არის გამოკლებული). საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ეკონომიკური აქტივობის დასადგენად, არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება და ბანკები“ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების (სამომხმარებლო, იპოთეკური, ავტო, ბიზნეს სესხები და ა.შ.) ოდენობა რეგიონულ ჭრილში მიმოიხილა.

გრაფიკი:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; nbg.ge

გრაფიკიდან ნათელია, რომ კომერციული ბანკები ყველაზე დიდი რაოდენობით სესხებს (თბილისის შემდეგ - 73.6%) აჭარის რეგიონზე გასცემენ, რასაც მთელი საბანკო ინდუსტრიის მიერ გაცემულ სესხებში 6.6% უკავია. აჭარის შემდეგ მეორე ადგილზე იმერეთის რეგიონია 5.6%-იანი მაჩვენებლით; შემდეგ ერთნაირი მაჩვენებლით მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი და ქვემო ქართლი (3.3%); სამცხე-ჯავახეთს მთლიანი საკრედიტო პორტფელში 1.0%-

იანი წილი აქვს; გურიის რეგიონი - 0.4%; ყველაზე ნაკლები ეკონომიკური აქტივობა შეინიშნება რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში და მცხეთა-მთიანეთში (0.1%); ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონზე კი სესხი საერთოდ არ არის გაცემული.

ამ მონაცემებიდან ნათელია, რომ კომერციული ბანკების 10 (10,486,000,000) მილიარდიანი სასესხო პორტფელიდან 7 (7,718,000,000) მილიარდზე მეტი თბილისზე მოდის, დანარჩენ რეგიონებზე კი დაახლოებით 3 მილიარდი (2,768,000,000). ეს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და საქართველოს ეკონომიკაში მათ ძალიან მცირე როლზე მიუთითებს, რაც ქვეყნისთვის უარყოფითი ფაქტია (არ ხდება ქვეყნის პოტენციალის სრული გამოყენება და რესურსები არაეფექტურად იხარჯება). შესაბამისად, ის ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელშიც გამოიხატება (საქართველო დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნებით, სადაც 2013 წელს წინასწარი შეფასებით მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 3,532.8$-ია).

„საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ აუცილებელია ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რაც რეგიონებში ეკონომიკურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ერთ-ერთი ასეთი შეიძლება იყოს მთავრობის ახალი ინიციატივა, პროგრამა - „აწარმოე საქართველოში'', რაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებაზეა ორიენტირებული. თუ ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდება, მაშინ ის მცირედით, მაგრამ მაინც, როგორც რეგიონებში ასევე მთლიანად ქვეყანაში სავარაუდოდ ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

თბილისის შემდეგ, კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების კუთხით ეკონომიკურად ყველაზე აქტიური რეგიონი აჭარა და იმერეთია, რაც ლოგიკურია - ტურისტულად ყველაზე დატვირთული აჭარის რეგიონია, 2013 წელს იმერეთის რეგიონში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ოდენობა გასულ წლებთან შედარებით ყველაზე დიდი მაჩვენებლით - 141 მლნ ლარით გაიზარდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი სავარაუდოდ პარლამეტის ქუთაისში გადატანა გახდა.